# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 13. | კვირა, 21 მაისი, 1906 წ. | გაზეთის № 38.


*
* *

(თარგმანი)

ტყვეობაში წამებული
ტანჯული ჩახველ საფლავში,
ხალხს შესწირე სული, გული,
მოკვდი იმისთვის ბრძოლაში.

თუმც მცირე ხანს, მაგრამ წმინდათ,
ემსახურე შენს სამშობლოს,
აქ ვართ შენნი ამხანაგნი
ჩვენვე გითხრით სასაფლაოს.

ჩვენმა მტერმა შენსა გვამზე
ვერ იყარა თვის ბრაზები,
ჩვენ გარტყივართ, ძმაო, ირგვლივ,
ჩვენ დაგიხუჭეთ თვალები.

არ ვსტიროდით, მეგობარო,
როს შენს საფლავს დავემშვიდეთ,
არც გვიკლავდა ჩვენ გულს სევდა,
როცა მიწა მოგაყარეთ!

არა, მხოლოდ გულში ბრაზი
ჩვენ აგვენთო და შეგფიცეთ,—
გადვუხადოთ მტერს ჯალათსა,
შევასრულოთ ეს პირმტკიცეთ!

ჩვენი ბედიც იგივეა,
როგორც შენი ციხეებში,
ამოგვივა, ძმაო, სული,
იქ დალპება ჩვენი ლეში!

როგორც თვით შენ, იქნებ ჩვენცა
თავი დავდოთ მხოლოდ მისთვის,
რომ შევიქნეთ ნიადაგათ
კიდევ ახალ მსხვერპლებისთვის.

მაგრამ ვიცით, მეგობარო,
ჩვენს ძვლებიდან ადგებიან
ჩვენზე უფრო მკვლავ-მამაცნი
და მტერს მტრულად დახვდებიან.

ი. ევდოშვილი.

## მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

ვერ წარმოიდგენთ, ჩემო მეგობრებო, რა ვნახე! ხალხი ათასობით ირეოდა ციხე-სიმაგრეებთან, ყველანი ყვიროდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ხტოდნენ და გიჟებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს. როგორც მივედი, ყველამ შესძახა ერთბაშად: „ფარანდოლა, ფარანდოლა!“ და გამოჩნდა მომავალი ხალხი. ვინ არ იყო იქ: კარგად ჩაცმული ვაჟბატონები უბეში საათებით, ფეხშიშველი და დაფლეთილები, ჯარის-კაცები, მოსარეცხეები, მორთული ქალები და ბავშვები, მღვდლები, ბერები და მონოზნები, ყველა ესენი მოძრაობდნენ და მხიარულობდნენ. ჰაერში განუწყვეტლივ გაისმოდა ყვირილი:

— გაუმარჯოს ეროვნებას!

უნებლიეთ ამ ხალხში შევერიე და დავიწყე ყვირილი:

— გაუმარჯოს ეროვნებას!

იმ სიგრძეთ იყო გაშლილი ეს ხალხი, რომ არც თავი უჩანდა და არც ბოლო. ისე დავიკარგე, რომ, წმ. ლაზარეს კარებიდან შესვლის მაგიერად, ლამბრეტის კარებიდან შეველ ქალაქში. აქ იწყებოდა ქუჩა კოლერა. რა უცნაურია ეს ქუჩა ჩემო მეგობრებო! ნახევარი მოკირწყლულია ეტლებისთვის და ფეხით მოსიარულეთათვის, მეორე ნახევარი-კი კალაპოტია მდინარე სარგის, რომლის წყალიც ატრიალებს ჩარხებს ტყავის სახელოსნოებისას და ბლონდის ქსოვილის ქარხნებისას, იმ დღესასწაულის გამო, დაკეტილი ჰქონდათ სახელოსნოებიც და ქარხნებიც, გარედან კი მორთული იყო სხვა და სხვა ფერის ფარჩეულით. ეს მორთულობა ძალიან ალამაზებდა იქაურობას, მხოლოდ სივიწროვის გამო, ეს ბრბო ხალხისა ფართოთ ვერ გაშლილიყო.

ძლივს, რის ყოფით, გავედით ქალაქის დიდ მოედანზე. აქ ფართოთ გავიშალენით, დიდხანს კი არ გავჩერებულვართ, ახლა ხალხმა გასწია პაპის სასახლის მოედნისკენ, სადაც უნდა ედღესასწაულნათ. ამ მოედნის შუა ალაგას ესტრადაზე იდგა სამი მოხელე, რომელნიც პარიზიდან იყვნენ გამოგზავნილნი, რომ გამოეცხადებინათ ავინიონის შეერთება საფრანგეთთან. მრავალ ხალხს მოეყარა თავი და ირგვლივ შემოხვეოდნენ, ჩვენც იმათ შევუერთდით. დიდის ხმით იძახდნენ ყველანი:

გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს ეროვნებას! ძირს მთავრობა!

მოულოდნელად მოხელენი წამოდგნენ და ანიშნეს ხალხს, რომ ლაპარაკი სურთ. ყველა გაჩუმდა. ერთმა მოხელემ მაღალის ხმით წაიკითხა ბრძანება ავინიონის და მთელ კონტის საფრანგეთთან შეერთების შესახებ. ამ ბრძანების წაკითხვის შემდეგ, ისევ მოისმა ყვირილი: გაუმარჯოს ეროვნებას, მაგრამ ჩქარა ჩაჩუმდა, რადგან ამ დროს მოხელენი პაპის სასახლისაკენ მიბრუნდნენ და რაღაც ანიშნეს სასახლის ბანზე მდგომ მუშებს. ამ მუშებმა მაშინვე ჩამოიღეს პატარა ვერცხლის ზარი, რომელიც რეკდა ხოლმე პაპის სადიდებლად, ჩამოაცურეს თოკით მოედანზე. მერე ეს ზარი გაათრიეს ქალაქის სიმაგრეებისკენ. ბევრი ავინიონელი სწუხდა ამ ამბის გამო, თუმცა, რა თქმა უნდა, სასარგებლო იყო გარეგანის ნიშნებითაც საერთოთ ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ ქალაქმა ავინიონმა ყოველივე დამოკიდებულება შესწყვიტა პაპთან, მაგრამ ხალხს ეგონებოდა, რომ ველარ მოისმენდა სასიამოვნო და ტკბილ ხმას თავის ვერცხლის ზარისას.

ამ დ[illegible]ის ხალხმა დაინახა ნადიმისთვის სანოვაგით მომავალნი და ზარი დავიწყებას მისცა. ზოგს ახალი გამომცხვარი პური მოჰქონდა, ზოგს კალათებით ზეთის ხილი, ზოგს აუარებელი თხილი და ზოგს ამდენივე ყურძენი. ყველა ეს ესტრადაზე დაალაგეს და თითო-თითოთ ყველას ურიგებდნენ თითო პურს, ექვს-ექვს ზეთის ხილს, იმდენსავე თხილს და თითო მტევან ყურძენს. ამ აუარებელ ხალხში ძალიან ძნელი იყო გავლა, მაგრამ მე მაინც, როგორც იყო, მივაღწიე და ჩემი წილი მივიღე. გამოვატანე ამ შეჯგუფებულ ხალხს და დავჯექი სასახლის კიბეზე, რომ თავისუფლად მეჭამა.

*) იხილე დამატება № 12.



თავმჯდომარე და კომისიის წევრნი მესამე ნაწილში.



მეოთხე ნაწილში.

არც აქ დავრჩი მარტო, ჩემს გვერდით იჯდა ლამაზი გვარდიელი თავის ცოლით და პატარა შვილით. კეთილ ადამიანსა ჰგავდა, გრძელი, ქერა ულვაშები ჰქონდა და ლურჯი თვალები, რასაც იშვიათად შეამჩნევდით სამხრეთის ხალხს. ჯერ ჩუმად იჯდა, მერე შემამჩნია, რომ ძალზე მარჯვეთ ვამტვრევდი თხილს, ველარ მოითმინა და მითხრა:

— ყმაწვილო, შენ ძალიან კარგი კბილები გქონია!

ავწითლდი და შურით შევხედე იმის მორთულობას.

უცბად იმანვე წამოიძახა:

— ოჰო, ძირი კიდეც გაადგებინეს ღვინის ჰურჰელს.

ცოლმა სალვინე მიაწოდა და იმან მე მომმართა:

— შენი ბოთლი სავსეა თუ ცარიელი? თუ ცარილია, მე ავავსებ.



თავმჯდომარე და კომისიის წევრნი.

რადგან გზაში სულ გამოვცალე ჩემი პატარა ბოთლი, ხმა ამოუღებლად მივაწოდე, იმან მაშინვე წაიღო, სადაც ხალხი ღვინის ჰურჰელს ეხვეოდა. გვარდიელმა დიდის გაჭირვებით შეატანა ხალხს და ცოტა ხანს უკან დაბრუნდა ღვინით სავსე ჰურჰლით და ჩემი ბოთლი მე მომაწოდა.

— მამა,—უთხრა თავისმა პატარა ვაჟმა,—კიდევ მინდა ყურძენი.

— ყურძენი კი აღარ არის და, თუ გინდა, ღვინოს დაგალევინებ.

— არ მინდა, ყურძენი მომე!

— ხომ გეუბნები, ყურძენი აღარ არის მეთქი!

— ნუ ჰირვეულობ, ჩემო ბიჭუნი,—უთხრა დედამ და მიაწოდა ღვინო.

— არ მინდა, ყურძენი მომე.

მომაგონდა, რომ ჯერ ხელი არ მეხო ჩემი ყურძნისთვის, ბავშვს მივაწოდე და ვუთხარი:

— აი ყურძენი, მიირთვი.

— ეგ მეტის-მეტი პატივისცემაა!—მითხრა იმისმა დედამ.

— არა, მე მაგის ნებას არ მოგცემთ!—სთქვა გვარდიელმა,—რა ჰირველობაა, რომ ამის გულისთვის თქვენ თქვენი წილი ყურძენი ამას უთავაზოთ.

— არა, ეგ ისეთი კარგი ბავშვია, რომ სიამოვნებით ვაძლევ ამ ჩემს წილს ყურძენს.

— მაშ მადლობა უთხარი—,უთხრა მამამ,—მომაწოდა ღვინო და მითხრა:

— აქაურს არა გევხარ, საიდანა ხარ?

— მალმორიდან.

— რისთვის მოსულხარ?

— წერილი უნდა გადავცე ჟოსერენს, რომელიც სამუშაოს მიშოვის. თუ შეიძლება, მითხარით, სად არის იმისი ბინა?

წარბები შეიჭმუხნა და ისეთნაირად შემომხედა, რომ შემეშინდა.

— წერილი გაქვს ჟოსერენთან? მაშ შენ არისტოკრატი ხარ და პაპისტი?

— არ ვიცი, პაპისტი არა ვარ.

— მაშ რისთვის მიდიხარ იმასთან?

— საქმეს გიშოვისო, მითხრეს.

— მაშ არ იცი, რომ ის არისტოკრატია და სამუშაოს მარტო პაპისტებს აძლევს? რასაკვირველია, შენ არაფერს დაჰკარგავ, თუ იმასთან წახვალ, მაგრამ კეთილი ბიჭი ჩანხარ და, თუ ვინიცობაა, არ მიგიღოს, ჩემთან მოდი სამმართველოში დიდ მოედანზე და გვარდიაში ჩაგრიცხავ, ჩემს ბატალიონში აგიყვან. რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტისა უნდა ვიყო?

ერთი წელიწადი უცაბედად წავუმატე.

— საუცხოვოა,17 წლისას შეუძლია გვარდიაში შესვლა. მაშ შენი ხელი! ახლა აგიხსნი, საითაც უნდა წახვიდე: აი ამ ქუჩაზე წადი, მერე შეუხვიე მარცხნივ და პირველი სახლი აივნით ჟოსერენის სადგომია.

ამ ლაპარაკის დროს თავის ცოლს თვალი უყო, იმან თავიდან სამ-ფეროვანი ნიშანი მოიხსნა და მომცა ღიმილით:

— რადგან პაპისტი არა ხარ, მაშასადამე, კარგი პატრიოტი იქნები, ამიტომ ეს ნიშანი ატარე.

მოვიდა ჩემთან, გამიკეთა ნიშანი ქუდზე და უთხრა ქმარს:

— ერთი შეხედე, რა ბიჭია! შენ მართალი ხარ: საუცხოვო გვარდიელი იქნება.

გვარდიელმა მხარზე ხელი დამკრა და მხიარულად მითხრა:

— აბა, აბა ეხლა დაიყვირე: გაუმარჯოს ეროვნებას! ძირს მთავრობა!

და ჩვენ ორთავემ, ხალხის ღრიანცელში, საშინლად დავიღრიალეთ:




მესამე ნაწილში.

— გაუმარჯოს ეროვნებას! ძირს მთავრობა!

— ახლა კი წადი შენს ბერთან და არ დაივიწყო, რაც გითხარი, გელი სამმართველოში, იქ იკითხე ფელდფებელი ვოკლერი.

— გმადლობთ, არ დავივიწყებ!

მე ძალზე აღშფოთებული გავშორდი ამათ, არ ვიცოდი-კი რა მაშფოთებდა: სიხარული თუ შიში.

ძლივს ვაპობდი ხალხის კედელს სასახლის მოედანზე, ყოველ ნაბიჯზე მრავალი ხალხი მხვდებოდა, სადღესასწაულოდ გამოსული. როცა მივაღწიე არისტოკრატების ქუჩას, სადაც ქოსერენი იდგა, გაოცებული დავრჩი—ერთი ადამიანი არსადა სჩანდა, უდაბნოს ჰგვანდა იქაურობა. კარებები ყველას დაკეტილი ჰქონდა, ფანჯრის დარაბები დახურული, მხოლოდ შიგნიდან გამოდიოდა ხმაურობა და ამით შევატყობდით, რომ სახლში მცხოვრებნი იყვნენ. პირდაპირ აივნიან სახლს მივადექ და დავაკაკუნე. გაიღო სარკმელი, ავიხედე, მაგრამ მაშინვე მოხურეს და ვერავინ დავინახე. მერე მოისმა შიგნით კარების რახუნი, ფეხის ხმა და ბოლოს ჭრაჭა-ჭრუჭით ოდნავ გაიღო ქვეითა კარი.

— ვინ გინდათ?—მკითხა მჩხავანა ხმით ბებერმა გასათხოვარმა ქალმა დაღმეჭილისა და ზაფრანასავით გაყვითლებულის სახით.

— ბერი ქოსერენი.

კარი მთლად გაიღო, უნდა შევსულიყავ, მაგრამ როგორც კი ფეხი შევდგი, ქალმა თავიდან ქუდი მამგლიჯა და იკივლა:

— მიშველეთ! მიშველეთ! ღვთის მშობელო დედაო! ავაზაკი შემოგვივარდა სახლში: გვიშველეთ!

გაცოფებულმა მოჰგლიჯა ჩემ ქუდს ნიშანი, დაფლითა ნაკუწ-ნაკუწად, ქუდი ქუჩაში გადააგდო, მერე შედგა ზედ და დაუწყო ფეხ-ქვეშ ქელვა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, გაოცებული შევყურებდი. პატარა ხანს უკან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი გულში მკრა და გარედ გამომაგდო. მერე შევარდა შინ და ისეთის ძალით მოარახუნა კარები, თითქო თოფი გაისროლესო.

გაოცებულმა ავიღე ჩემი ქუდი და მინდოდა გავბრუნებულიყავ, მაგრამ ამ დროს ყველა მხრიდან სახლის კარები გააღეს, და ქვები და კრამიტის ნამტვრევები დამიშინეს, თან უწყალოდ ყვიროდნენ:

— გააგდეთ, გააგდეთ ავაზაკი! რონაში ჩააგდეთ, რონაში!



მეექვსე ნაწილში.

მე საჩქაროთ გამოვბრუნდი და მივიმალე, სასახლის მოედანზედ ამოვედი და იქ შუაღამემდი დავრჩი, ვერა ვბედავდი ვოკლერის ცოლთან წასვლას, მერიდებოდა, რომ ქუდზე იმისაგან დამაგრებული ნიშანი აღარა მქონდა. კინაღამ ტირილი დავიწყე. რისთვის ჩამთვალა იმ ბებერმა ქალმა ავაზაკად, ან რად მომგლიჯა ქუდიდან ნიშანი, იმისი მეზობლები რაღად მომცვივდნენ და ჰყვიროდნენ: რონაში ჩააგდეთ, რონაშიო? ხომ არავისთვის არა დამიშავებია-რა... რა დანაშაულობისთვის ვიყავ აქ მარტოდ-მარტო, უბინაო? ყველანი მხიარულობდენ, მღეროდნენ, ყველანი ცეკვავდენ მოედანზედ იმ იმედით, რომ დაღამებისას მოელოდათ მყუდრო ბინა, სადაც დამშვიდებულნი მოისვენებდენ. მარტო მე არ ვიცოდი, სად გამეთია ღამე, არა მყავდა არც ნათესავი და არც მეგობარი. რა უნდა მექნა? სად წავსულიყავ?

ამ სასოწარკვეთილებაში მომაგონდა მდინარე რონა, როგორც ერთხელ ჩემ სოფელში გარდიის საგუბარი. შემეძლო ამ გაჭირვებაში მეპოვნა ვოკლერი, რომელიც ისე კარგად მომექცა, მაგრამ თან იმასაც ვფიქრობდი, ვაი თუ დაცინვით მეუბნებოდა თავის ბატალიონში მიღების შესახებ.

თან და თან დაბნელდა. ხალხიც დაიშალა, ალაგ-ალაგ ოდნავ-ღა ისმოდა საკრავის ხმა; რამდენიმე მთვრალი გარს შემოხვეოდა ღვინის ჭურჭელს, თუ დარჩენილიყო რამ, ისიც პირში ჩაეწვეთათ.

ბოლოს გავედი ქალაქის დიდ მოედანზე. მოედანი დაცარიელებულიყო და იქაც სიჩუმე იყო, მხოლოდ რამდენიმე დაგვიანებული კაცი მიეშურებოდა ბინისკენ. სანათი ოდნავ ბჟუტავდა და იმის მკრთალ სინათლეზედ მოსჩანდა სამმართველოს სახლში შემსვლელ-გამომსვლელი ხალხი, კარგა ხანს ავუარ-ჩავუარე ამ სახლს, ვერ გავბედე მივსულიყავ და მეკითხა სადარაჯოში ფელდფებელი ვოკლერი. მეგონა, სასაცილოდ ამიგდებდნენ.

დრო გადიოდა. უნდა გადამეწყვიტა რამ, კითხვა სირცხვილი არ არის და მაინცა და მაინც რონაში გადავარდნასაც კიდევ მოვასწრობდი... უგრძნობლად გავწიე სამმართველოს ღია კარისაკენ, შევედი ბნელ დერეფანში და აღარ ვიცოდი საით წავსულიყავ.

— ვინა გნებავთ?—მკითხა ვიღაცამ უკმეხად და ხელი დამადო მხარზე.

— აქ არის ბატონი ფელდფებელი ვოკლერი?

— აქ ბატონი არავინ არის, მხოლოდ მოქალაქენი არიან, საძაგელო არისტოკრატო! დაიცადე, ეხლავ გავიგებ, სტყუი თუ მართალს ამბობ.

, შეაღო კარი და დაიძახა:
ი!
...ეგ გამოჩნდა ჩემი ნაცნობი გვარ-
...ყით პირში.
...ულობს?
...ოხედე, ვოკლერ, იცნობთ ამ ბიჭს? მე კი
...ეს არისტოკრატების ჯიშისა უნდა იყოს, თქვენა
გკითხულობთ.

— ოჰ, ეგ შენა ხარ, მალხაზო?—მითხრა ვოკლერმა.— მაშ გეტყობა ბერს გამოუგდიხარ· ეგ კარგია, კარგია, აქ გირჩევნიან· ეხლავე მივიღებთ ჯარში და გაუმარჯოს ეროვნებას!

ვოკლერმა ხელი მომკიდა, მაგრამ დარაჯმა თავის ქნევით უთხრა:

— იცნობთ კი ამ ბიჭსა? ამან ბატონი გიწოდათ.

გვარდიელმა ხმა არ გასცა. შევედით სადარაჯოში. ეს იყო გრძელი და ვიწრო ოთახი. შუაში ცეცხლი ენთო, ჭერში ეკიდა სანათი; კედელთან სიგრძეზე იდგა სკამები, რომლებზედაც ჯარის-კაცები იწვნენ და ჩიბუხსა სწევდნენ. თეთრად შეღებილ კედელზე ალაგ-ალაგ ნახშირით დახატული კაცის და ქალის სურათები სჩანდა. ოთახში ბუღი იდგა და კომლი ღრუბელივით მოსდებოდა ჭერს. მარჯვნივ კუთხეში, პატარა მაგიდასთან, იჯდა ჯარის კაცი და სთვლემდა.

— მეგობრებო,—სთქვა შესვლისათანავე ვოკლერმა:— აი, მოვიყვანე ჯარის-კაცი. ეხლავე მივიღოთ ჩვენს რაზმში. ხომ ჩვენთან ერთად დასძახებ: გაუმარჯოს ეროვნებას! ან თავისუფლება, ან სიკვდილი!

მე გამოვიჭიმე, ფეხის წვერებზედაც კი შევდექი და მაღალის ხმით სხვებთან ერთად დავიძახე:

— გაუმარჯოს ეროვნებას! ან თავისუფლება, ან სიკვდილი!

ამ ხმაურობაზე ჯარის კაცს გამოეღვიძა.

— რა ამბავია? რა მოხდა?

— ახალი ჯარის კაცი მოვიყვანე, უნდა მივიღოთ,— უთხრა ვოკლერმა.

— ვაშა, ვაშა, მოქალაქე!

— მოქალაქევ, შენ რა ჰქვიან?

— პასკალ.

— მამაშენსა?

— პასკალ.

— სხვა სახელი არა აქვს?

— არ გამიგონია.

— დედაშენს რაღა ჰქვიან?

— პატინა.

— ეგ სახელი არ არის. რა ჰქვიან ჟანეტა, იზაბელლა თუ სხვა?

— არა ვიცი, ყველანი პატინას ეძახიან.

— მაშ კარგი, ერქვას პატინა.

— სად დაიბადე?

— მალმორში, კონტას.

— კარგი. მოაწერე შენი სახელი.

ჩემდა სასირცხვოდ გამოვტყდი, რომ წერა-კითხვა არ ვიცოდი.

— არა უშავს რა. მითხრა ვოკლერმა,— თუ მელნით წერა არ იცი, სისხლით გასწავლით წერას. სად არის სერჟანტი ბერიგო? აქა ხარ? აბა წაიყვანე და ახლავე ჩააცვი მუნდირი.

ერთი ძოხუცი ჯარის-კაცი წამოდგა, ჩიბუხი გამობერტყა, სანათი აიღო, აანთო და მანიშნა გავყოლოდი.

ავედით კოშკში, მაღლა ოთხ-კუთხ ოთახში, რომელიც სავსე იყო სამხედრო ტანისამოსით, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მერე აარჩია აუარებელ ტანისამოსში ერთი მუნდირი და გადმომიგდო.

— ეს იგია,— მითხრა იმან,— გაისინჯე, კარგად დაგედგება თუ არა.

მუნდირი მშვენიერი იყო, თუმცა ნახმარი, თალხი მწვანე მაუდისა, გადაკეცილის წითელ საყელოთი, ყვითელის ღილებით და გრძელის კალთებით, რომლებიც კუნთებამდის მცემდა. ჩემთვის მეტად განიერი და გრძელი იყო, მაგრამ მე მაინც ხმა ამოუღებლივ შევიკალთავე, მუნდირი უფრო გალამაზდა, რადგან ისეთივე წითელი სარჩული იდვა, როგორიც საყელო, ქუდის პოვნა უფრო გაჭირდა—ოცდა ათამდე მეტი გავისინჯე და ყველა თვალებზე ჩამომეფხატა. ბოლოს ბერიგომ მოთმინება დაჰკარგა და მითხრა:

— აი, ეს წითელი არახჩინი დაიხურე, სწორედ მარსელელი ჯარის-კაცი იქნები.

მერე მომცა ლურჯი შალვარი და თეთრი ჩულქები. ამაებს გასინჯვა არ უნდა, ახლა თოფი-ღა გინდა და ხმალი... ამოირჩიე შენ თითონ, ეგენი-კი ბევრია.

თოფი, რომელიც შემხვდა, ის ავიღე, მაგრამ ხმალი ველარ ავარჩიე. უთუოდ მინდოდა ვოკლერის ხმლისთანა გრძელი და მოხრილი ამომერჩია. ბერიგო გაჯავრდა.

— რაღას ფათურობ?—მითხრა მან:—ეგ ხმლები სულ ერთნაირებია და ყველა სამართებლივით სჭრის, თუ კარგა გალესავ.

შემრცხვა და დავიტოვე ის ხმალი, რომელიც იმ დროს ხელში მეჭირა.

**ელენე ანტონოვსკისა.**

(შემდეგი ქნება).




რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.
ვანკის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.